ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15-62

2015 წლის 23 ივნისი

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 06/01/2015; სარეგისტრაციო კოდი 330130000.35.101.016104) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქალაქო სასაფლაოებზე, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული უფლების განხორციელებისას, ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოს ზედამხედველობა, წესრიგში იქონიოს და მოუაროს სასაფლაოს, საფლავს, ძეგლს და სხვა; აკრძალოს არასახელშეკრულებო ურთიერთობა, გარდა არაკომერციული, უსასყიდლო, ერთჯერადი საქმიანობის განხორციელების შემთხვევისა. “.

2. მე-7 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. სამარის გათხრის უფლება აქვს მხოლოდ ოპერატორს. გამონაკლის შემთხვევებში:

ა) სამარის გათხრა შესაძლებელია განხორციელდეს ოპერატორის მიერ საკუთარი ხარჯებით (ეპიდემიის გავრცელება, სტიქიური უბედურება და სხვა);

ბ) თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ საქალაქო სასაფლაოებზე, სამარის გათხრა შესაძლებელია განხორციელდეს, ჭირისუფლის მიერ საკუთარი რესურსით, ოპერატორისადმი განცხადებით მიმართვისა და შესაბამისი გარდაცვალების მოწმობის ან გარდაცვალების დამდგენი სხვა დოკუმენტის საფუძველზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**